

ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის
N3-4 ოთახებზე, მოქალაქე თამარი თოფურასათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სილოვან მახვილადის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N3-4 ოთახებში მცხოვრები მოქალაქე თამარი თოფურას განცხადება /2012 წლის 30.11 Nთ-9890/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლი N3-4 ოთახები/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N3-4 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამარი თოფურას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სილოვან მახვილადის ქუჩა N9 საცხოვრებელი სახლის N3-4 ოთახებზე /საერთო ფართობი 39,14 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 39,14 კვ.მ, საერთო სარგებლობის ფართობი 3,90 კვ.მ./ მოქალაქე თამარი თოფურას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ა.ძოწენიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე